დმანისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება

ბრძანება:**ბ108. 108240362**

თარიღი:**05/02/2024**

,,ქალთა სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების პროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და გენდერულ საკითხებზე ცნობიერების გაზრდის გზით“ ქვეპროგრამის განხორციელების მიზნით შეფასების და მონიტორინგის ჯგუფების შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის Nგ-109.109233321 განკარგულების პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ,,ქალთა სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების პროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და გენდერულ საკითხებზე ცნობიერების გაზრდის გზით“ ქვეპროგრამის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას ,,ქალთა სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების პროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და გენდერულ საკითხებზე ცნობიერების გაზრდის გზით“ ქვეპროგრამის განხორციელების მიზნით:

ა) შეფასების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა.ა) მეგი ედიბერიძე - დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი - ჯგუფის კოორდინატორი;

ა.ბ) მზია დევნოზაშვილი - დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი;

ა.გ) თამარი ჭელიძე - დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებში - ჯგუფის წევრი;

ა.დ) კახა მუჯირიშვილი - დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მონიტორინგის საკითხებში - ჯგუფის წევრი;

ა.ე) მაკა ოკმელაშვილი - დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ჯგუფის წევრი.

ბ) მონიტორინგის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ბ.ა) მეგი ედიბერიძე - დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი - ჯგუფის კოორდინატორი;

ბ.ბ) ნინო ომიაძე - დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;

ბ.გ) მზია დევნოზაშვილი - დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი;

ბ.დ) ქეთევანი აბრამიშვილი - დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ჯგუფის წევრი;

ბ.ე) მადონა ფოლადიშვილი - დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სამართრებლივი დახმარების საკითხებში - ჯგუფის წევრი;

ბ.ვ) სოფიო ასლამაზაშვილი - დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ჯგუფის წევრი;

2. დაევალოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ქეთევან მარტიაშვილს, ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი ჯგუფების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ,,ქალთა სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების პროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და გენდერულ საკითხებზე ცნობიერების გაზრდის გზით“ ქვეპროგრამის შესახებ განახორციელოს ინფორმაციის განთავსება დმანისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში, ინფორმაციის მოსახლეობაში გავრცელება და სხვა ღონისძიებები ქვეპროგრამის პოპულარიზაციის მიზნით.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113), მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კობა მურადაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი